საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე ცეცე

იოანე ცეცე (Iōannēs Tzetzes) (დაახლ. 1110–1180), ბიზანტიელი პოეტი და ფილოსოფოსი. მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლში.

მამის მხრიდან, როგორც თვითონ აცხადებდა, იყო წმინდა ბერძნ. სისხლის, ხოლო დედის მხრიდან – კავკასიურ-იბერიული წარმოშობის.

მიიღო საფუძვლიანი ფილოლ. და გრამატ. განათლება. თავის შრომებს უძღვნიდა წარჩინებულ ბიზანტიელებს და კეისრებს. მის ყველაზე ვრცელ ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს „ისტორიათა წიგნი", ანუ ფილოლ.ისტ. „პოემა", რ-საც, ჩვეულებრივ, - „ხილიადები" ეწოდება. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები და განმარტებები ჰომეროსის, ჰესიოდეს, არისტოფანეს, ლიკოფრონის და სხვა ანტ. ავტორთა თხზულებების შესახებ.

ი. ც. გვაწვდის ძვ. კოლხეთთან დაკავშირებულ საყურადღებო მითოგრაფიულ, გეოგრ. და ეთნოგრ. ცნობებს.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 7, თბ., 1967.

ლიტ.: უ რ უ შ ა ძ ე ა., ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.